

გვანცა ბურკაძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია

„ჩემი აკადემიური მოღვაწეობის განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი მიზანი ყოველთვის იყო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება, რაც წარმატებით განვახორციელე და ერთი სემესტრი გავატარე Erasmus+ გაცვლითი პროგრამის მეშვეობით სლოვენიაში. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა კავკასიის უნივერსიტეტის ხელშეწყობით მესწავლა ლუბლიანას უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით როგორც ბიზნეს სკოლების, ასევე ზოგადად უნივერსიტეტების რეიტინგებში ლიდერობს.

საზღვარგარეთ გატარებული 5 თვე სავსე აღმოჩნდა თავგადასავლებით, სიახლეებით, მოგონებებითა და, რა თქმა უნდა, გარკვეული დაბრკოლებებით. ყველაფრის გათვალისწინებით, გამოცდილება, რომელიც ყოველდღიური დამოუკიდებელი ცხოვრებისა და უცხო გარემოში ადაპტირებისას შევიძინე, დამეხმარა თვითრეალიზაციაში. შევიძინე არაჩვეულებრივი მეგობრები, რომლებმაც მიუხედავად უცხო ქვეყანაში ყოფნისა, ნამდვილ სახლში მაგრძნობინეს თავი. ასევე, Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ სრულიად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა, რაც სხვადასხვა კულტურების და მათი ხალხის შეცნობისა და ბევრი მოგზაურობის ფონზე მოხდა. გაცვლითი პროგრამის აკადემიური ასპექტი ასევე განსაკუთრებით მდიდარი და საინტერესო იყო, რადგან მქონდა შესაძლებლობა შემესწავლა უნიკალური საგნები, ასევე მესწავლა სხვადასხვა სწავლების სტილისა და სხვადასხვა პერსპექტივის მქონე პროფესორებისგან.

მოხარული ვარ, რომ შევძელი ჩემი სურვილი რეალობად მექცია. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, როგორც სწავლისთვის, ასევე პიროვნული ზრდისთვისა და თვალსაწიერის გაფართოებისთვის, იმ დონეებზე, რომლებიც წარმოუდგენლად შეიძლებოდა მოგვიჩვენებოდა.“